ბათუმის
მენდეგრული
საკონსულტაციო საბჭო

გაუმჯობესებული პერსპექტივები
ქალთა უფლებების განმტკიცება
რეგიონის ეფექტური მართვა

2015

ჟურნალის გამოცემას აფინანსებს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02 ფაქსი: 27 13 68
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge
www.gac.fsokhumi.ge

ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები,
შესაძლოა, არ გამოხატავდეს
დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

პროექტის დირექტორი
ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი
მერი გელაშვილი

რედაქტორი
ლალი შენგელია

ნომერზე მუშაობდნენ:
ემა კამკია
ხათუნა გოგუა
მანანა ლეშკაშელი

დიზაინი
ლია კოსტავა

პროექტის ორი წელი და სამომავლო პერსპექტივები

დასასრულს მიუახლოვდა პროექტი „გენდერული საკონსულტაციო საბჭო - გაუმჯობესებული პერსპექტივები, ქალთა უფლებების განმტკიცება და რეგიონის ეფექტური მართვა“.
პროექტის ფარგლებში ფონდი „სოხუმის“ ძალისხმევით ბათუმში დაფუძნდა გენდერული საკონსულტაციო საბჭო, როგორც ადგილობრივი ინსტიტუციური მექანიზმი გენდერული პერსპექტივების ხელშეწყობისთვის.
ორი წელი საკმაო დროა იმისთვის, რომ გაკეთდეს ანალიზი, რა როლი შეასრულა საბჭომ, როგორც შუამავალმა რგოლმა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასა და თვითმმართველობას შორის. რამდენად შეძლო მან, ეთქვა თავისი სიტყვა, როგორც გენდერული იდეების „გამტარმა“ და რა შეიცვალა არსებულ მიდგომებში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში. როგორი პროგნოზები შეიძლება გაკეთდეს სამომავლოდ - რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება და როგორ გაგრძელდება დაწყებული საქმიანობა...

საბჭო, როგორც სოციალური სამართლიანობის იდეების „გამტარი“

...ორი წლის წინათ ბათუმის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ გააერთიანა საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი - თვითმმართველობის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები, უბრალოდ - აქტიური და ქალაქზე, მის მოქალაქეებზე გულშემატკივარი ადამიანები, რომლებიც მეორე წელია, სრულიად უანგაროდ ცდილობენ, საკუთარი წვლილი შეიტანონ ადგილობრივი რესურსების უფრო მიზნობრივი, სამართლიანი განაწილების, სოციალური თანასწორობის, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის პრინციპის განხორციელებაში.

საბჭო - რომლის საქმიანობაში საკრებულოსგან დელეგირებული დეპუტატების გარდა მონაწილეობენ არასამთავრობო სექტორის, მედიასაშუალებების წარმომადგენლები, საზოგადოების აქტიური წევრები, დარგის ექსპერტები - იყო შუამავალი რგოლი, ინფორმაციის გამტარი საკრებულოსა და მოქალაქეებს შორის და საზოგადოების ყველა სეგმენტში ნდობის დიდი მანდატით სარგებლობდა.

საქმიანობის დასაწყისშივე საკრებულოსთან გაფორმდა მემორანდუმი, რამაც განსაზღვრა თანამშრომლობის მიმართულებები ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის მხარდაჭერის კუთხით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ბათუმის თვითმმართველობის ხელმძღვანელობის გამოკვეთილი პოლიტიკური ნება - საბჭოსთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის. ამის მკაფიო გამოხატულებაა საკითხი, რომ საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის გენდერული მრჩევლები, მერის მრჩეველი შშმ პირთა საკითხებში, მათი ინიციატივით, საბჭოს წევრები არიან და არაერთი ინიციატივის ავტორებად გვევლინებიან.

გენდერული საბჭოების ქსელი

2015 წლის 30 ივნისს ბათუმში, სასტუმრო „ლეგასში“ გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელი გაფორმდა. მასში ფონდი „სოხუმის“ ძალისხმევით შექმნილი ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის და სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოები გაერთიანდა.

ყველაზე ნიშანდობლივი იყო კონფერენციის საქმიანობაში ოთხივე ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობა, როგორც ამ ინსტიტუტის მიმართ გამოცხადებული ნდობის დემონსტრირება.

ეს სულისკვეთება კარგად გამოხატა ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ბერაძემ: „მე და ჩემი კოლეგები აქ წარმოვადგენთ როგორც გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს, ისევე - თვითმმართველობას. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ არასამთავრობო სექტორს, მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებას აქვს უზარმაზარი რესურსი და სახელმწიფო, პირველ რიგში - ადგილობრივი თვითმმართველობა წაგებული დარჩება, თუ ამ რესურსს ვერ გამოიყენებს“.

კონფერენციაზე გამოჩნდა 4 გენდერული საბჭოს საქმიანობის შედეგები და სამომავლო გეგმები, რომლებიც არსებულ გამოწვევებს პასუხობს, და სურვილი - მოახდინონ გავლენა ქალების, სხვა სოციალური ჯგუფების მდგომარეობის შეცვლაზე, არსებული რესურსების უფრო სამართლიან განაწილებაზე. იყო პრეზენტაციები, დისკუსიები, აზრთა გაცვლა, რამაც აჩვენა ამ რგოლების საქმიანობის მასშტაბები.

პროექტის ორი წელი და სამომავლო პერსპექტივები

ადგილობრივი გენდერული პერსპექტივები - ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ორწლიანი მუშაობის შემდეგ

საბჭოს წინაშე თავიდანვე იდგა ამოცანა - ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფების საჭიროებების გამოვლენა და მათი ადგილობრივ პოლიტიკასა და პრაქტიკაში ინტეგრირება, საბიუჯეტო პროცესებში მონაწილეობა მისი გენდერული პარამეტრებით შედგენისათვის.

სტრატეგია, რომელიც საბჭომ აირჩია, მიმართულია იქითკენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი ბიუჯეტი, ადგილობრივი პოლიტიკა გახდეს უფრო მიზნობრივი, სოციალურად სამართლიანი; ორიენტირებული სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, პირველ რიგში - ქალების, ასევე ახალგაზრდების, შშმ პირების, დევნილების, ეროვნული უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინებასა და ადგილობრივ პოლიტიკაში მათ უფრო სრულფასოვან მონაწილეობაზე.

საბჭო თავისი საქმიანობით ცდილობდა დაემკვიდრებინა პრაქტიკა, რომ თვითმმართველობა არის კოლექტიური პასუხისმგებლობა იმაზე, თუ როგორ და რაში უნდა იქნეს განაწილებული ადგილობრივი რესურსები, რომელი სამოქალაქო ჯგუფები საჭიროებენ უფრო მეტ მხარდაჭერას და რა მიმართულებით უნდა გაუმჯობესდეს ადგილობრივი პოლიტიკა, განსაკუთრებით გრძელვადიანი პროგრამების კუთხით.

საბჭოს იდეა მოწონებული და მხარდაჭერილი იყო თვითმმართველობის ორივე შტოს მიერ, რასაც ცხადყოფს არა მხოლოდ ხელმოწერილი მემორანდუმი, არამედ თუნდაც ის, რომ საბჭოს სხდომები დღემდე მერიისა და საკრებულოს სათათბირო დარბაზებში ტარდება, ხოლო თვითმმართველობაში დაკავებული ადამიანები საკმაოდ დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს და თანამშრომლობენ საბჭოსთან მთელი რიგი საკითხების განხილვაში.

კვლევები, როგორც ადგილობრივ გენდერულ პოლიტიკაზე გავლენის საშუალება

პროექტის განმავლობაში ჩატარდა ადგილობრივ გენდერულ საჭიროებათა ორი კვლევა, რომელმაც იგპ და სოციალურად დაუცველი ქალების, ეკომიგრანტების, ახალგაზრდების, შშმ პირების, ნაციონალური უმცირესობების გენდერული საჭიროებები შეისწავლა და ექსპერტების ჩართვით ადგილობრივი პროგრამებისთვის რეკომენდაციები მოამზადა; ასევე ჩატარდა 2014 და 2015 წლების ბიუჯეტის ანალიზი გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით, რომელმაც საშუალება მოგვცა, კიდევ ერთხელ განგვესაზღვრა, როგორია თვითმმართველობის ხარჯების „გენდერული წილი“ - განათლება, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა, რამდენად სამართლიანად არის ადგილობრივი რესურსები განაწილებული მოქალაქეთა ჯგუფების საჭიროებების მიხედვით, რამდენად ეფექტურია არსებული პროგრამები და როგორ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

ადგილობრივი გენდერული პოლიტიკისა და პრაქტიკის კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ამა თუ იმ პროგრამას, პროექტს აქვს სრულიად სხვადასხვა

ნინო ბერაძე, ბათუმის საკრებულოს წევრი, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელობა ჩემთვის არის ახალი გამოწვევა, პატივი. ვმუშაობ საინტერესო ადამიანებთან, საინტერესო ქალბატონებთან, რომლებიც საბჭოს ბირთვს წარმოადგენენ.

საბჭოს მიზანი არის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. იმ პროექტების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს გენდერული დისბალანსის აღმოფხვრას, ქალბატონების დასაქმებას, მათი ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენას. ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება ადრეული ასაკიდანვე - ანუ იმ პროგრამების შეთავაზება მერიისთვის დასაფინანსებლად, რომლებიც ამ კუთხით საგანმანათლებლო სამუშაოებს ჩაატარებს.

სანამ თავმჯდომარედ ამირჩევდნენ, საბჭოს მუშაობაში შეძლებისდაგვარად ვმონაწილეობდი, როგორც რიგითი წევრი. ვიცი, რომ საბჭო საკმაოდ აქტიურად არის ჩართული გენდერული პოლიტიკის შემუშავებაში. ეს პასუხისმგებლობა გაიზარდა ჩემთვის, როგორც საბჭოს თავმჯდომარისთვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გენდერული საჭიროებების გამოვლენის მიზნით ჩატარებული კვლევები.

მისასალმებელია, რომ საზოგადოება ბრმად კი არ მონაწილეობს, არამედ უკვე კრიტიკულად აფასებს, სწავლობს, თავისი შეხედულება აქვს. სურს, ეს კრიტიკაც გააზრებული იქნას. ასეთი აქტიური სამოქალაქო პოზიცია მნიშვნელოვანია.

ასევე, მნიშვნელოვანია დამოკიდებულება სოციალურად დაუცველების მიმართ. ეს მგრძნობიარე საკითხია, მაგრამ არის მოთხოვნა, რომ სახელმწიფო სხვა ეტაპზე გადავიდეს - იყოს არა სოციალური დახმარება, არამედ ახალი პერსპექტივისკენ, განათლებისა და დასაქმებისკენ მიმართული ღონისძიებები.

მსგავსი ტიპის საბჭოების მუშაობის შედეგია ის, რომ საზოგადოება მომწიფდა, მოითხოვოს მეტი ქალი პარლამენტში, მეტი ქალი - გადაწყვეტილების მიღების პოზიციაზე.

გავლენა ქალებზე და კაცებზე (ასევე სხვა სოციალურ ჯგუფებზე). სხვადასხვანაირად აისახება მათ საჭიროებებზე, განვითარებაზე, რაც აუცილებელს ხდის საბიუჯეტო პროგრამების გენდერულ მონიტორინგს მის საწყის - დაგეგმარების ეტაპზე. დინამიკაში ბიუჯეტის გენდერული შეფასება საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ, თუ რა იყო, რა არის და რა შეიძლება იყოს მომავალში ადგილობრივი რესურსების დანაწილების კუთხით. რა შეძლო მუნიციპალიტეტმა და რაში სჭირდება მას მიდგომების შეცვლა. როგორ შეიცვალა სოციალური გარემო და რამდენად გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოციალური ფენის, განსაკუთრებით კი ქალთა მდგომარეობა.

კვლევების ძირითადი მიზანი იყო ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული ბიუჯეტის პრინციპის დამკვიდრების ხელშეწყობა. კვლევების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები პერიოდულად მიეწოდებოდა ადგილობრივ თვითმმართველობას. მათი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამაში, ნაწილმა ასახვა ჰპოვა გენდერული პოლიტიკის პრაქტიკასა და ადგილობრივ სამოქალაქო ჯგუფებთან გაზრდილ თანამშრომლობაში.

გათვალისწინებული რეკომენდაციები

საბჭოს ინიციატივა იყო სკოლამდელი განათლების სერვისის დახვეწისათვის სკოლამდელ დაწესებულებებში ფსიქოლოგების, ლოგოპედების, მედდების კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა. სადღეისოდ ბაღების გაერთიანების აიპისთვის გამოყოფილია 25 000 ლარი ამ კუთხით შესასრულებელი საქმიანობისათვის.

საბჭო მიიჩნევს, რომ ბიუჯეტში შეტანილი სიახლეები - ახალგაზრდების სტაჟირებასთან დაკავშირებით, სოციალურად საშიში დაავადებების მკურნალობის და პრევენციის საკითხებზე, სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით, სოციალური პაკეტების გაზრდის კუთხით და ა.შ. გარკვეულწილად უკავშირდება რეკომენდაციებს, რომლებიც საბჭოს მიერ ე.წ. „გენდერული ჯგუფების“, ექსპერტების, დარგის სპეციალისტების პოზიციებზე დაყრდნობით იქნა გაკეთებული.

პროექტის ორი წელი და სამომავლო პერსპექტივები

საბჭოს მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებში საკმაო ადგილი ეჭირა ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული სენსიტიურობის საკითხს, რომლის შემადგენელი ნაწილია გენდერული განათლება თვითმმართველობაში. ამ კუთხით საბჭოსთან თანამშრომლობით არაერთი ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის საინფორმაციო შეხვედრები, ქალთა ჯგუფების, ახალგაზრდების საკითხების ადვოკატირება, ტრენინგები ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთათვის.

ნატალია სოსიაშვილი, ქალაქ ბათუმის მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

საბჭოს შექმნამდე ბათუმის ადგილობრივ ბიუჯეტში ნაკლებად იყო გაკეთებული აქცენტი გენდერულ საკითხებზე. ან თუ იყო, არ ხდებოდა გენდერული მიმართულებით ორიენტირის აღება. ეს სფერო შედარებით ახალია, თუმცა საბჭოს მუშაობა მისაღები გახდა ადგილობრივი მერიისთვის. მე, როგორც მერიის წარმომადგენელი გენდერულ საკითხებში, საბჭოს სხდომებს ვესწრები. ადგილობრივი ხელისუფლება საქმის კურსშია, რა საკითხები განიხილება, რა კუთხით მუშაობს საბჭო.

ურთიერთანამშრომლობამ განაპირობა ერთობლივი პროექტების შექმნა. იმ დროისათვის, როცა პროექტი დასრულდება, უკვე განსაზღვრულია პრიორიტეტები - ადგილობრივი ხელისუფლება აქცენტებს გენდერული კუთხით აუცილებლად დასვამს.

თვითმმართველობამ გაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაცია ახალგაზრდებისთვის ძალადობის პრევენციის კუთხით ჩასატარებელ ღონისძიებებთან, სკოლამდელი განათლების სერვისში ინოვაციურ ელემენტებთან დაკავშირებით, რასაც მოყვა მათი მხრიდან ფონდ „სოხუმთან“ ერთად საბჭოს ინიცირებული პროექტების დაფინანსება.

სამწუხაროდ, თვითმმართველობისთვის დღემდე გამოწვევად რჩება სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროექტების მხარდაჭერა. ეს სოციალური დაკვეთა, რომელიც საჭიროებათა კვლევაზე დაყრდნობით მოდის ქალთა ჯგუფებიდან, საბჭოსათვის ადგილობრივ დონეზე ადვოკატირებისა და ლობირებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ასევე საკითხის სხვადასხვა დონეზე ადვოკატირების და ლობირების მიუხედავად, საბჭომ დღემდე ვერ მოახერხა იძულებით გადადგილებული პირების, ეკომიგრანტების საზოგადოებრივი ინტეგრაციისათვის მიზნობრივი პროგრამების, პროექტების დანერგვა.

საზოგადოებრივი დისკუსიების ინიცირება: მრგვალი მაგიდები

საბჭოს ინიციატივით არაერთი საკითხი გახდა ფართო სამოქალაქო დისკუსიის თემა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილება - დასაქმების პროგრამების ხელშეწყობა“. ის, თუ როგორ უნდა დაიძრას საკითხი ადგილიდან, როგორ მოხდეს ამ საკითხში თვითმმართველობის, კერძო სექტორის, დარგის სპეციალისტების, დაინტერესებული მოქალაქეების თანამშრომლობა;

„თვითმმართველობის ადგილობრივი პერსპექტივები“ - ამ თემაზე გამართულმა დისკუსიამ თვითმმართველობაში სხვადასხვა ადგილობრივი ჯგუფის მონაწილეობის ფორმებსა და შესაძლებლობებზე იმსჯელა;

„სკოლამდელი განათლების სერვისის გენდერული ასპექტები“ - შეხვედრამ სოციალური ინფრასტრუქტურის „გენდერული“ მახასიათებლები, დარგის განვითარებისთვის აუცილებელი ღონისძიებები განსაზღვრა. იყო დისკუსია სერვისის გამართვის ალტერნატიულ გზებზე (მაგალითად - კერძო ბაღების ხელშეწყობა), იმაზე, რომ ამ მომსახურებით უზრუნველყოფა შესაძლებლობას მისცემს ქალებს, გახდნენ უფ-

რო აქტიურნი ეკონომიკურად და მოხდეს მათი თვითრეალიზაცია; გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები ქალებისათვის; გაიზრდება სერვისის მიმღები ოჯახების სოციალური კეთილდღეობა; საუბარი იყო ასევე სხვა პრობლემებზე - მშობლების პედაგოგიზაციის აუცილებლობა და სპეციალისტების კვალიფიკაციის საკითხები;

„ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვა და ძალადობის პრევენცია - სტრუქტურათშორისი თანამშრომლობა“ - მრგვალი მაგიდის დისკუსია პრობლემის სიმწვავეს, რეფერირების კუთხით არსებულ გამოწვევებს შეეხო. მოხერხდა ყველა იმ რგოლის შეკრება, ვისაც აქვს შეხება ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, მსხვერპლის დაცვის, ძალადობის პრევენციის ღონისძიებებთან და საფუძველი დაედო ამ რგოლებს შორის ინფორმაციის გაცვლის სამომავლო ღონისძიებებს;

„თაობათა დიალოგი - ჰარმონიული საზოგადოებისათვის“ - ამ შეხვედრის მთავარი მოტივი იყო საზოგადოებრივი დიალოგის აუცილებლობა, პიროვნებათშორისი და თაობათშორისი გაუცხოების მიზეზების ძიება და გამოკვეთა არაერთი პრობლემა ჯანსაღი კომუნიკაციების, საზოგადოების გამოცდილების ციკლის უწყვეტობის საჭიროების კუთხით.

მრგვალი მაგიდების თემების აქტუალობა ჩანდა იმაშიც, რომ ის ყოველთვის იყო მედიის ყურადღების ცენტრში; იზრდებოდა პარტნიორთა წრე, ვისაც დასახელებული საკითხების მოგვარებაზე შესტკივა გული; თანამშრომლობა სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფთან.

მედიასთან თანამშრომლობა

საბჭოს მიერ ინიცირებული თემები სისტემატურად ხვდებოდა და ხვდება ადგილობრივ მედიაში. „ტვ-25“, ტელეკომპანია „აჭარა“, რადიო „თავისუფლება“, გაზეთი „ბათუმელები“, თავის დროზე „მე-4 არხი“ საბჭოს მუდმივ პარტნიორებს წარმოადგენდნენ. მათ მიერ გაშუქებული საბჭოს „დღის წესრიგი“ თემებს რეზონანსულობას მატებდა და საბჭოს საქმიანობაზე, მის მიერ წარმოდგენილ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების საუკეთესო საშუალება იყო.

ეს, ერთი მხრივ, მიუთითებს რეგიონალური მედიის მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობაზე, მეორე მხრივ, ნიშნავს იმას, რომ საბჭოს დღის წესრიგში დგას საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხები. ამის გარდა - ხშირად მედია მხარს გვიჭერდა არცთუ ისე პოპულარული თემების განხილვაში - მაგალითად მოვიტანთ ოჯახში ძალადობის პრობლემის წამოწევას; გენდერული ბიუჯეტის ირგვლივ დისკუსიას, რომელიც აუცილებელი პირობაა სოციალურად სამართლიანი პოლიტიკის გასატარებლად.

ქსელური შეხვედრა ბათუმში - ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭო მუშაობს გენდერული პოლიტიკის გეგმაზე

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მრგვალი მაგიდა - დღის წესრიგშია საჭირბოროტო საკითხები

ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა ქალაქის ადგილობრივ თვითმმართველობასთან

პროექტის ორი წელი და სამომავლო პერსპექტივები

ოჯახში ძალადობა - საბჭოს მიერ აღიარებული, როგორც ყველაზე სერიოზული გენდერული გამოწვევა

სამწუხაროდ, რეგიონში რამდენიმე ტრაგიკული შემთხვევა ამ საკითხის გარშემო საბჭოს მიერ ინიცირებული დისკუსიების ფონზე მოხდა, რამაც ამ მიმართულებით ადგილობრივ დონეზე სერიოზული მუშაობის საჭიროებას გაუსვა ხაზი. პირველ რიგში, იყო თვითმმართველობის წარმომადგენლების ინფორმირება პრობლემის გარშემო და ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად კონკრეტული „ქეისების“ განხილვა, მათი ჩართვა საკითხის მოგვარებაში, რაც საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა (არის შემთხვევები, როცა მსხვერპლი კატეგორიული წინააღმდეგია, ჩაერთოს პოლიცია, სოციალური მუშაკი და მისი ნდობის მანდატი მხოლოდ თემში თვითმმართველობის წარმომადგენელზე ვრცელდება).

საბჭოს ძალისხმევით გამართული შეხვედრები შსს აჭარის სამმართველოს წარმომადგენლების (უბნის რწმუნებულები, საპატრულო პოლიცია), სოციალური მუშაკების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და სახელმწიფო რეფერალური მექანიზმების სხვა სუბიექტების, ასევე - ჟურნალისტების, თვითმმართველობის წარმომადგენლების, საზოგადოებრივი ჯგუფების მონაწილეობით - იყო წინგადადგმული ნაბიჯი უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის, ადგილობრივი კოორდინაციის ხელშეწყობისთვის.

ძალადობის წინააღმდეგ კამპანიაში ჩართვა, სატელევიზიო და რადიოგადაცემების ინიცირება, საკითხის პრევენციისთვის გამართული შეხვედრები ახალგაზრდებთან - ამ საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაცია შემდგომში აისახა საბჭოს მიერ თვითმმართველობისთვის წარდგენილ რეკომენდაციათა პაკეტში, სადაც ნათქვამია, რომ ადგილობრივ

ნინო ტავლალაშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ფილიალის პროგრამების ხელმძღვანელი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში ჩვენი ორგანიზაცია გვიან ჩაერთო, თუმცა, როგორც ექსპერტი, სხვადასხვა ტიპის შეხვედრებს, სადაც მოქალაქეთა აქტიურობაზე იყო გამახვილებული ყურადღება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყოველთვის ესწრებოდა.

მეორე წელია, საბჭოს წევრი ვარ.

როგორ შევაფასებ საბჭოს მუშაობას?

დიდი ნაბიჯებია გადადგმული. გააქტიურებულია საზოგადოების დიდი ნაწილი. განიხილება ნებისმიერი საკითხი, შემდეგ უკვე, რეკომენდაციების სახით, შედის საკრებულოს დღის წესრიგში.

რა თქმა უნდა, არის საბჭოს გავლენა გენდერულ პოლიტიკაზე - ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. საკრებულოს ნებისმიერი სხდომა, სადაც გენდერული საკონსულტაციო საბჭო არის წარმოდგენილი, საკმაოდ სერიოზულ ვითარებაში მიმდინარეობს. არა მარტო აზრს გვეკითხებიან, გენდერული ბიუჯეტირების საკითხებში საკრებულო ჩვენს რეკომენდაციებს ეყრდნობა და მომავალშიც დაეყრდნობა, რადგან ამ მხრივ სწორედ საბჭო მუშაობს.

დღემდე გენდერულ საკითხებზე არ მახვილდებოდა ყურადღება, არ მიიჩნევდნენ საჭიროდ. თუმცა, შეიძლება ითქვას, ჩვენი მენტალური ხედვა ჯერ კიდევ დარჩა კონკრეტული ჩარჩოების შიგნით. მაღალმთიან რეგიონებში, ქალაქიდან დაცილებულ სოფლებში მკვეთრად შეიმჩნევა განსხვავება.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს არსებობა აუცილებელია იქიდან გამომდინარე, რომ მას ურთიერთობა აქვს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებთან. ბათუმის საკრებულოში - სხვა საკრებულოებისგან განსხვავებით - არის მრჩეველთა საბჭო და გენდერული საბჭო, რომელთაც შეუძლიათ გენდერული პრობლემების წამოწევა, მათი იდენტიფიცირება და ადვოკატირება.

პროგრამებში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლის დახმარების ღონისძიებები, აიგოს მჭიდრო თანამშრომლობა ყველა რგოლთან, რომელიც ჩართულია რეაგირების მექანიზმებში; ასევე ასახული იქნა საბჭოს მიერ წარმოდგენილ პროექტებში, რომელთა დიდი ნაწილი შემდგომში თვითმმართველობის მიერ იქნა მხარდაჭერილი.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წერილიდან

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ირაკლი ჭეიშვილს და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ერმაკოვს (წერილს ხელს აწერს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს 16 წევრი)

„ბათუმის გენდერული საბჭოს მიერ ჩატარდა არაერთი საზოგადოებრივი დისკუსია, შეხვედრა რეფერალური მექანიზმების ადგილობრივ სუბიექტებთან, მათ შორის შსს აჭარის არ მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებთან, სოციალურ მუშაკებთან, პედაგოგებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, სამოქალაქო ჯგუფებთან“.

საბჭოს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები ეყრდნობა სწორედ ფართო საზოგადოებრივი დისკუსიების შედეგებს და ემსახურება პრობლემის მასშტაბების შემცირებაში ადგილობრივი თანამშრომლობის გაძლიერებას:

- ადგილობრივი ბიუჯეტის განსაზღვრისა და დაგეგმვის დროს ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მიმართულებების ინტეგრირება.
- ძალადობის აღმოფხვრის კუთხით მომუშავე ორგანიზაციებთან ძალადობის პრევენციის და მსხვერპლის დაცვის კუთხით ერთობლივი პროგრამების/პროექტების მხარდაჭერა/განხორციელება, ოჯახში ძალადობის კუთხით რისკ-ფაქტორის ჯგუფების გამოვლენა და შემთხვევების მართვაში ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენელთა ჩართვა.
- ძალადობის მსხვერპლის დახმარების პროგრამების ინტეგრირება ადგილობრივ სოციალურ პროგრამებში (დროებითი საცხოვრებლის მოძიება, ერთჯერადი დახმარების გაწევა, კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმებაში დახმარება, პროფესიის დაუფლებაში ხელშეწყობა).
- ადგილობრივი ხელისუფლების კომუნიკაციის გაზრდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საუბნო პოლიციასთან, სოციალურ სააგენტოსთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერება.
- ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში (საკრებულო, მერია) სპეციალისტების გამოყოფა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან მსხვერპლთათვის აუცილებელ ყველა ინფორმაციაზე (განსაკუთრებით - დაცვის მექანიზმების მუშაობის პრინციპებზე და მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე), ასევე კონტაქტი ექნებათ შესაბამის სოციალურ სამსახურებთან და უფლებამოსილ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა რეკომენდაცია მისცენ მსხვერპლს ხელმისაწვდომი ფსიქო-სოციალური სერვისების მისაღებად.

კობა ჩხეიძე, ბათუმის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

საბჭოს წევრი ვარ მას შემდეგ, რაც საკრებულოს წევრი გავხდი. ჩემთვის ზოგადად საინტერესოა ასეთი საბჭოს არსებობა. ის, ერთი მხრივ, გენდერულ თანასწორობაზეა ორიენტირებული და, მეორე მხრივ, ცდილობს, მეტი რაციონალიზმი შეემატოს ბათუმის ბიუჯეტს, უფრო მოქნილი გახადოს პროგრამები და ამით მეტად ეფექტური იყოს საზოგადოებისთვის - ანუ ბენეფიციარებისთვის.

ვერ ვიტყვი, რომ საბჭომ რეგიონში არსებულ გენდერულ სიტუაციაზე დიდი გავლენა მოახდინა, მაგრამ პროცესი ნამდვილად დაწყებულია. ამას ზოგადი ფონიც უწყობს ხელს - ბოლო წლებში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის გამო შექმნილი ვითარება, ასევე ოჯახში ძალადობის თემა იქცა არა მარტო მსჯელობის საგნად, არამედ პრიორიტეტულ საკითხად სახელმწიფოსთვის.

მართალია, ადრინდელთან შედარებით ახლა გაცილებით კარგი ვითარებაა გენდერული საკითხის მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულების მხრივ, მაგრამ არც ისე სრულყოფილი, რომ ამ ტიპის საბჭოებმა არ იარსებონ. ვფიქრობ, ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭო თავის სათქმელს ამბობს.

პროექტის ორი წელი და სამომავლო პერსპექტივები

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღმზრდელთა და მშობელთა ფსიქოლოგიური განათლების ხელშეწყობა.
- ადგილობრივ ხელისუფლებაში დასაქმებული პერსონალის გენდერული განათლების ხელშეწყობა, განსაკუთრებით, ოჯახში ძალადობის პრობლემის გააზრების კუთხით.
- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა ადგილობრივი ინიციატივების წახალისებით.
- ადგილობრივ მედიასთან თანამშრომლობა ძალადობის პრევენციისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.
- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივი კამპანიების მხარდაჭერა.

„გაერთიანება“ - სამოქალაქო ინიციატივების ჯგუფი

ეს ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის კიდევ ერთი პროდუქტია, რომელიც საბჭოს ბაზაზე შეიქმნა და აქ დაბადებული საინტერესო იდეების ხორცშესხმას ისახავს მიზნად. გაერთიანების „აქტივში“ უკვე არის პროექტები, რომლებიც საზოგადოებრივად საინტერესო და აქტუალური, რიგ შემთხვევაში - პრობლემური საკითხების ირგვლივ იქმნება, მიდის მათი დაფინანსების გზების ძიება; არის ძალიან საინტერესო მიმართულება - თემატური შეხვედრები ახალგაზრდებთან ადგილობრივი ინტელიგენციის, დარგის სპეციალისტების რესურსის გამოყენებით, რომელსაც საფუძველი დაუდო რამაზ სურმანიძემ (პროფესორი, საკრებულოს წევრი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი) და ეს ძალისხმევა არის საუკეთესო ნიმუში იმისა, როგორ შეიძლება დატვირთული სამეცნიერო, სახელმწიფო, საზოგადოებრივი მოღვაწეობის გრაფიკის მიუხედავად, მოიცალო მომავალი თაობისათვის, რათა აზიარო ისინი საზოგადოების საუკეთესო გამოცდილებას, ჩადო მათში სიკეთის მარცვალი, რომელიც აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს. პასუხად იყო - უპრეცედენტო ინტერესი, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ახალგაზრდა თაობას სჭირდება, აკლია ჩვენი ყურადღება, უფროსებთან ღია დიალოგი, მზად არის, მიიღოს ჩვენი გამოცდილება, რათა შემდგომში საფუძვლად დაუდოს საკუთარ ღირებულებებს...

„გაერთიანება“ ღიაა ყველა მსურველისთვის და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს კარგ რესურსს საბჭოს საქმიანობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის დოკუმენტი

საბჭოს „აქტივშია“ ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაინტერესებულ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად განიხილებოდა და სამომავლოდ ხელს შეუწყობს თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის გაუმჯობესებას.

დოკუმენტში მოხდა საბჭოს ხელთ არსებული ინფორმაციების განზოგადება სოციალური ჯგუფების საჭიროებებზე, ბიუჯეტის ყველა „გენდერული ხარჯის“ თავმოყრა, მათი უფრო ეფექტური განაწილებისათვის ადგილობრივი რესურსების, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა. სამომავლოდ იგეგმება ამ დოკუმენტის ლობირება საკრებულოში. ამ პოლიტიკის ნაწილია საბჭოს კიდევ ერთი რეკომენდაცია - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას დაემატოს გენდერული კომისიის ფუნქციები და ეწოდოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და გენდერულ საკითხთა კომისია.

ადგილობრივი გენდერული საბჭოები - საუკეთესო პრაქტიკა - წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების ილუსტრირებისათვის

ფონდი „სოხუმის“ მიერ დაფუძნებული ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ბათუმის მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოების პრაქტიკა საფუძვლად დაედო საკანონმდებლო ინიციატივას ამ რგოლის ინსტიტუციონალიზაციის თაობაზე, რომელსაც ალბათ საქართველოს პარლამენტი უახლოეს დროში განიხილავს. ეს, უდავოდ, იქნება სერიოზული ნაბიჯი ადგილებზე გენდერული სამართლიანობის პრინციპით განხორციელებული, მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებული მართვის უზრუნველსაყოფად.

ბათუმში გამართულ ქსელურ შეხვედრაზე მოხდა იმის დემონსტრირება, რომ საკანონმდებლო ინიციატივას გენდერული საკონსულ-

ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სხდომა ოზურგეთის გენდერული საბჭოს თავმჯდომარის ლელა ნაცვალაძისა და საბჭოს წევრების მონაწილეობით

ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებული სხდომა თვითმმართველობისა და შსს აჭარის სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად

ტაციო საბჭოების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით აქვს კარგი დასაბუთება პილოტური გენდერული საბჭოების სახით, რომელთა შორის ერთ-ერთი ბათუმის გენდერული საბჭოა.

გენდერული საბჭოები ადგილობრივ დონეზე - არის პრაქტიკით დამტკიცებული აუცილებლობა, რომელსაც შეუძლია, უზრუნველყოს არა მარტო ქალების და სხვა სოციალური ჯგუფების მხარდაჭერა, მათ მიმართ უფრო სამართლიანი პოლიტიკის გატარება, არამედ ძალუძს, ქალი გახადოს სრულფასოვანი მონაწილე ამ პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში. ეს და ბევრი სხვა საკითხი საფუძველს გვაძლევს დასკვნისათვის, რომ თვითმმართველობის, საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით შესაძლებელია ოპტიმალური გენდერული პოლიტიკის დანერგვა.

სწორედ ამიტომ, ბათუმში პროექტის დასრულების წინ არავის არ ებადება ეჭვი, რომ საბჭოს საქმიანობა ჩვეული დინამიკით გაგრძელდება. ამას აძლიერებს საბჭოს წევრების პროფესიონალიზმი, მაღალი მოტივაცია და მათ მიმართ არსებული მოლოდინი. თუნდაც ის გამოწვევები, რომლებიც ჯერაც უპასუხოდ რჩება - საბჭოსგან საინტერესო იდეებს და მათი განხორციელებისათვის საჭირო შემართებას კვლავაც ელიან...

ემა კამკია
პროექტის ასისტენტი

ამომრჩეველ ქალთა კლუბის წარმატებები

ამომრჩეველ ქალთა კლუბის ისტორია ქალაქ ბათუმში 2006 წლიდან იღებს სათავეს. ბოლო ორი წლის განმავლობაში კლუბმა ახლებურად და კიდევ უფრო აქტიურად განაგრძო მუშაობა.

კლუბში სხვადასხვა პროფესიის, ასაკის, შეხედულების ქალბატონები არიან. გასულ წლებში კლუბი ყოველთვიურად ტარდებოდა, ბოლო ორი წლის განმავლობაში - ყოველ მეოთხე თვეს, თუმცა, ამის მიუხედავად, მისი აქტიური წევრები სისტემატურად იკრიბებიან, მსჯელობენ საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემების (სოციალური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის თუ სხვა სახის) გადაჭრის გზებზე.

ამომრჩეველ ქალთა კლუბის მუშაობის რამდენიმე წარმატებული მაგალითი:

კლუბის წევრმა, სოციალურად დაუცველმა მზიური ბალაძემ, საკუთარი შშმ შვილის პრობლემა დასვა - მას სკოლა არ აძლევდა ატესტატს. კლუბის მოდერატორმა ეთერ დიასამიძემ სასამართლოს მიმართა - ექვსთვიანი ლოდინის შემდეგ პროცესი მოიგო. კლუბის შუამდგომლობით, გიორგიმ ბათუმის სასწავლებელ „ბლექსშიც“ ჩააბარა და დაამთავრა კიდეც.

გრიშაშვილის ქუჩაზე ძლიერმა ქარმა სახურავი გადახადა ცხრასართულიან ბინას. მცხოვრებლებმა, რომლებიც კლუბის აქტიური წევრები არიან, დახმარებისთვის მიმართეს

პროექტის ფოტოქრონიკა

აქტუალური საკითხების განხილვა ამომრჩეველ ქალთა კლუბის სხდომებზე

ქალაქის სხვადასხვა სამსახურს. პრობლემა გაჟღერდა „25-ე არხით“ და აჭარის ტელევიზიით. ყოველივე ამის შედეგად, სახურავის დაზიანებული ნაწილი მალე აღადგინეს.

ამომრჩეველ ქალთა კლუბის შუამდგომლობით, სოციალურად დაუცველ კლუბის ორ წევრს საზამთროდ შეშა გადაეცა. ერთ-ერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს კი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქველმა“ გადასცა შესაბამისი მედიკამენტები.

ორწლიანი პროექტი დასასრულს უახლოვდება... კლუბმა არაერთი ქალი გააააქტიურა, მისცა ცხოვრებაში წინსვლის ხალისი, კლუბის მეშვეობით გადაიჭრა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, ამიტომ მისი არსებობა აუცილებელია.

ახლო მომავალში ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები ლეონიძის ქუჩის 15-ში დევნილთათვის რეაბილიტირებული ბინის ეზოში პატარებისთვის ატრაქციონების და სპორტული მოედნის მოლოდინში არიან. ამომრჩეველ ქალთა კლუბმა ამ საკითხით უკვე მიმართა ქალაქ ბათუმის მერიას.

მანანა ლეშკაშელი
პროექტის ასისტენტი

შორენა მამულაძე, ქალაქ ბათუმის მერის მრჩეველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებში, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

ამ თანამდებობაზე აპრილში დავინიშნე სპეციალური კონკურსის გავლით.

პროფესიით ფსიქოლოგი ვარ. დავამთავრე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი და მაგისტრატურა.

ჩემი მოვალეობაა ქალაქ ბათუმის მერიასთან უშუალო კონტაქტი, შშმ პირთა პრობლემების მიტანა. ქალაქში ბევრი ინფრასტრუქტურული პრობლემაა, რაც ხელს უშლის შშმ პირთა ნორმალურ გადაადგილებას - მოუწესრიგებელი ტროტუარები, საცალფეხო ბილიკები.

არა მაქვს ილუზია, რომ ესა თუ ის პრობლემა უცებ, დღეს ან ხვალ გადაიჭრება. ეს არ არის ჯადოსნური ჯოხი, ერთი ხელი დაჰკრა და ყველა ოცნება აგიხდეს! ამ პრობლემების შესახებ საქმის კურსშია ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობა და დროთა განმავლობაში ყველაფერი გაკეთდება!

მერიის ადმინისტრაციის შენობაში (ლერმონტოვის ქუჩა) უკვე დამონტაჟდა პანდუსები შშმ პირთათვის. ანალოგიური გაკეთდება მერიის მეორე ადმინისტრაციულ შენობაშიც. მაგრამ რადგან შენობა კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაშია შეტანილი, ერიდებიან მსგავსი სახის დემონტაჟს.

ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში ქალაქის მერის გიორგი ერმაკოვის ინიციატივით მოვხვდი. სწორედ მან შესთავაზა საბჭოს ჩემი კანდიდატურა. თავიდან ვერ მივხვდი, ვერ გავითავისე ჩემი როლი, რა უნდა მეკეთებინა. ბატონმა გიორგიმ მითხრა, შენ ხომ ხარ ქალი, ჰოდა, ეცადე რაიმე ქალებისთვის სასიკეთო გააკეთოო!

რა თქმა უნდა, არ გამიწევია წინააღმდეგობა. არც მინდოდა, კაბინეტში, ოთხ კედელში ვმჯდარიყავი. თავს ახალი გამოცდილების უფლება მივეცი. დავიწყე აქტიურად სიარული შეხვედრებზე. შშმ პირთა პრობლემებსაც უფრო ახლოს გავეცანი. გავხდი საბჭოს აქტიური წევრი, მონაწილეობა მივიღე გენდერული საჭიროებების კვლევაში, რამაც ძალიან დამაინტერესა.

შშმ პირებს ბევრი პრობლემა აქვთ, თუმცა ბევრი რამ კეთდება. მაგალითად, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ჩვილ ბავშვთა სამშობიარო სახლში ტარდება ადრეულ ასაკში სკრინინგ-პროგრამები სმენაზე. არის უფასო გამოკვლევები აუტიზმით, ეპილეფსიით, დამბლით დაავადებული მოზარდებისთვის. შშმ პირებს აქვთ საშუალება, დაისვენონ ბორჯომსა და ურეკში. მშობელთა საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნით, ამ კურორტებს დაემატა ახტალა.

გენდერული საკონსულტაციო საბჭო ჩემთვის ახალი გამოცდილებაა, ახალი საქმიანი კავშირები, მეტი შესაძლებლობა და მეტი აქტიურობა. რაც მთავარია, ამ მუშაობამ დიდი სტიმული მომცა, რომ უკეთ დავიცვა შშმ პირთა უფლებები, მეტი გავაკეთო იმ კატეგორიის ადამიანებისათვის, რომელთა საკითხებზე ვმუშაობ.

საინფორმაციო შეხვედრების მნიშვნელობა

საინფორმაციო შეხვედრები პროექტის ერთ-ერთი ნაწილია - შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა ჯგუფის ინფორმირება, პრობლემების გამოვლენა, ადვოკატირება მათი მოგვარებისთვის...

ორი წლის მანძილზე ბევრი სათქმელი დაგროვდა...

მათგან განსაკუთრებით საინტერესოს გავიხსენებთ.

პრობლემა ერთ-ერთ ქუჩაზე

ერთ-ერთი შეხვედრა ადლიის ქუჩაზე გაიმართა. როგორც მცხოვრებლებმა განაცხადეს, წვიმის დროს აქ პატარა ვენეციაა. იტბორება ეზოები, ხშირად წყალი სახლებში შედის. რეაბილიტაციას საჭიროებს საკანალიზაციო სისტემა, დასაგებია ასფალტი, მოსაწესრიგებელია სანიაღვრე სისტემა.

შეხვედრის შემდეგ დაიწერა განცხადება ქალაქის მერიის სახელზე. ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ადვოკატირებით პრობლემები წლის ბოლომდე მოგვარდება.

დევნილთა ინფორმირება

პერიოდულად იმართება შეხვედრები დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში. დევნილთა ინფორმირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პროექტისთვის.

ახალ რაიონში 22 სამსართულიან კორპუსში 3000-მდე ოჯახია ჩასახლებული. მათი უმრავლესობა წყალტუბოს კოლექტიური ცენტრებიდან გადაიყვანეს. დევნილები ნომერ პირველ პრობლემად უმუშევრობას ასახელებენ. აღნიშნავენ, რომ გადაუხდელობის გამო, ხშირად არ მიეწოდებათ ელექტროენერგია და გაზი. ბევრი ადამიანი საბანკო ვალშია გახვეული.

შეხვედრის შედეგად დევნილები არსებული პრობლემებით მიმართავენ ადგილობრივ სტრუქტურებს. ფონდი „სოხუმი“ აქტიურად თანამშრომლობს დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთობა თანადგომისათვის“ წევრებთან, რომლებიც აქტიურად ერთვებიან პრობლემების ადვოკატირებაში.

დევნილები ინტერესით ეცნობიან ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობას. მათ განსაკუთრებით მოეწონათ პროექტი „ბათუმის ახალგაზრდები - არაძალადობრივი საზოგადოებისთვის“, რომელიც ბათუმის მერიამ და ფონდმა „სოხუმმა“ დააფინანსა. მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მსგავსი პროექტების განხორციელება, რადგან ხელს უწყობს ახალგაზრდების ჰარმონიულ განვითარებას, მათი დამოკიდებულების შეცვლას ძალადობის პრობლემის მიმართ.

შეხვედრა უნივერსიტეტში

ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლები პირველად მივიდნენ. უნივერსიტეტი 17 წლისაა და 300-ზე მეტ სტუდენტს ითვლის. მათ შორის არიან ახალგაზრდები რეგიონებიდან, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.

ლექტორებმა და სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის შესახებ. შეხვედრის შედეგად მათ გაუჩნდათ სურვილი, ჩაერთონ ფონდი „სოხუმის“ აქტივობებში.

სხვა ახალგაზრდებთან ერთად უნივერსიტეტის სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა საბჭოს წევრების მიერ გენდერული კუთხით ჩატარებულ ღონისძიებებში.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები - შეხვედრის მონაწილენი

პროექტის მიმდინარეობისას იყო აქტიური თანამშრომლობა ბათუმში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან.

ტარდებოდა შეხვედრები „მეგობრობის სახლში“, იქ, სადაც 16-მდე ეროვნებაა წარმოდგენილი. სხვადასხვა დიასპორის, პროფესიის, თაობის ადამიანები სისტემატურად მართავენ ღონისძიებებს. ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაეუფლონ მშობლიურ და ქართულ ენას. ტარდება ინტერკულტურული საღამოებიც.

ფონდი „სოხუმის“ ინიციატივით გამართული საინფორმაციო შეხვედრების შედეგად „მეგობრობის სახლის“ ხელმძღვანელობამ მიმართა ქალაქის საკრებულოს, რომ მომავალი წლისთვის მეტი თანხები ჩაიდოს ქალაქის ბიუჯეტში.

თანამშრომლობა მასმედიის წარმომადგენლებთან

ადგილობრივ მასმედიასთან თანამშრომლობა პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამიტომაც იმართებოდა საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა მედიასაშუალების (გაზეთები: „აჭარა“ და „ბათუმელები“, რადიო „თავისუფლება“, ტელეკომპანიები: „25-ე არხი“ და „აჭარა“) წარმომადგენლებთან. ისინი ეცნობოდნენ პროექტის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობებს და შემდგომ აცნობდნენ მკითხველს, მაყურებელსა და მსმენელს.

საინფორმაციო შეხვედრებმა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთან გააქტიურა ადამიანები თავიანთი პრობლემების მოგვარებისთვის, ხელი შეუწყო ცვლილებებს გენდერული კუთხით და მიღწეული შედეგების პოპულარიზაციას ადგილობრივ საზოგადოებაში.

მანანა ლეშკაშელი
პროექტის ასისტენტი

მანანა ილურიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვეული სპეციალისტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბათუმის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

საბჭოს წევრი ვარ პირველივე დღიდან. აქ მუშაობამ კარგი გამოცდილება მომცა, რომ გენდერული კუთხით შემეხედა ჩვენს ირგვლივ არსებული პრობლემებისთვის. გენდერი ბევრს მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვა ჰგონია, მაგრამ ზოგჯერ მამაკაცის უფლებებსაც სჭირდება დაცვა.

მიმაჩნია, რომ გენდერულ საბჭოს სწორად აქვს ჩამოყალიბებული მიზნები და მათ მისაღწევად ეფექტურად მუშაობს. მართალია, პროექტი დასრულდა, მაგრამ ეს მუშაობის დასრულებას არ ნიშნავს. პირიქით - ახლა ისეთი ეტაპი გვაქვს, როცა კონკრეტულ ქმედებებზე გადავედით. საბჭოში პროფესიონალი ადამიანები არიან შეკრებილნი, რომლებიც მოხალისეობრივად მუშაობენ. ჩვენ შეგვიძლია მომავალშიც ასე გავაგრძელოთ. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შევძლებთ იმ მუხტის შენარჩუნებას, რომელიც საბჭოს წევრებში არსებობს. ენთუზიაზმი არის, პროფესიონალები არ გვაკლია, საძირკველი უკვე ჩაყრილია - ვფიქრობ, ეს სავსებით საკმარისია მუშაობის გასაგრძელებლად. თუ პოლიტიკური სარჩული არ დაედო განხილულ საკითხებს (საბჭოს მუშაობას ზოგადად) და ამის ნიადაგზე არ მოხდა დაპირისპირება, ჩვენ შევძლებთ გენდერული ხარჯების გაწერას და ადგილობრივ ბიუჯეტში საკუთარი წინადადებების ასახვას.

ბათუმის თვითმმართველობის 2014 წლის ბიუჯეტის ანალიზი

დასკვნები და რეკომენდაციები

ბათუმის თვითმმართველობის 2014 წლის ბიუჯეტის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომელთა შემდგომ საბიუჯეტო პროცესებში გათვალისწინებისათვის გაკეთდა დასკვნები და მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები.

ბუნებრივია, წარმოდგენილ ანგარიშში ბევრი საკითხი ვერ აისახა, ან არასრულად წარმოჩნდა. უეჭველია, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნების გათვალისწინებისა და სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური თანამონაწილეობის გარეშე ამ საკითხების დღის წესრიგში დაყენება შეუძლებელია.

დინამიკაში ბიუჯეტის გენდერული შეფასება საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ, თუ რა იყო, რა არის და რა შეიძლება იყოს მომავალში. ასეთი მიდგომა გამოავლენს, რა შეძლო მუნიციპალიტეტმა და რაში სჭირდება მას მიდგომების შეცვლა. როგორ შეიცვალა სოციალური გარემო და რამდენად გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოციალური ფენის ცხოვრება.

ჩატარებული კვლევა საშუალებას გვაძლევს, გამოვკვეთოთ სხვადასხვა ჯგუფის, განსაკუთრებით კი ქალთა საჭიროებები, რომლის საფუძველზე შეიძლება საბიუჯეტო წინადადებების მომზადება საკრებულოსთვის წარსადგენად.

1. გენდერული ბიუჯეტის პოპულარიზაცია

საზოგადოებრივი აზრის მომწიფება იმისთვის, რომ გენდერული ბიუჯეტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და საჭიროებს საყოველთაო მხარდაჭერას.

ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული პარამეტრების გათვალისწინების აუცილებლობა თვალსაჩინო უნდა გახდეს როგორც ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთათვის, ასევე მედიის, საზოგადოებისათვის.

2. თვითმმართველობაში დასაქმებული ადამიანების გენდერული განათლების ხელშეწყობა

გენდერული პოლიტიკა გულისხმობს გენდერული განათლების სისტემის შექმნას, მათ შორის საჯარო მოხელეებისთვის; თვითმმართველობის წევრების გენდერული კომპეტენციის ამაღლება საწინდარია გენდერული მგრძნობელობისა და ყველა სოციალური ჯგუფის საჭიროებების გაცნობიერებისა. ადგილობრივ უწყებებში უნდა დაინერგოს ამ საკითხებზე ყოველკვარტალური სემინარები.

3. საბიუჯეტო სახსრების განაწილების პროცესში გენდერული ასპექტების ინტეგრირებისას ადგილობრივი გადასახადების კუთხით გენდერულ ჭრილში შეღავათების გათვალისწინება

ხელს უწყობს ბიუჯეტის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, ეკონომიკური აქტივობის ზრდას, განსაკუთრებით ქალებისთვის, რაც პასუხობს სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დონეზე აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის ადგილობრივ დონეზე ქალთა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამების დანერგვის მხრივ.

4. ყველა ახალი პროგრამის და პროექტის გენდერული შეფასება თვითმმართველობისა და დაინტერესებული სამოქალაქო სექტორის ერთობლივი რესურსებით

ყველა ახალი პროგრამა და პროექტი უნდა იყოს განხილული გენდერულ ჭრილში. ამით საწყის ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნება გენდერული მგრძნობიარობისა და ქალთა თანამონაწილეობის პრინციპის შერწყმა ყველა ახალ პროგრამასა და პროექტში. უზრუნველყოფილი იქნება პროგრამებისა და პროექტების განხორციელების გენდერული მგრძნობელობა და გენდერზე ზეგავლენის შეფასების შერწყმა პროგრამებისა და პროექტების სტრუქტურაში.

5. დაგეგმარება და ბიუჯეტის შედგენაში თანაბარი მონაწილეობა

ქალთა და გოგონათა, სხვა სოციალური ჯგუფების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში განიხილება როგორც სამართლიანი ბიუჯეტის შედგენის წარმატებისკენ მიმავალი გზა. არ არის საკმარისი იმის თქმა, რომ ქალთა საჭიროებები და საჭირბოროტო საკითხები გათვალისწინებულია.

გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებელია მოპყრობა ქალებთან, როგორც თანასწორ პარტნიორებთან და არა მხოლოდ როგორც პოლიტიკის ობიექტებთან. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.

6. ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფების (ახალგაზრდები, შშმ პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველები, ნაციონალური უმცირესობები, განსაკუთრებით - ქალები) შესაძლებლობების გაზრდის მხარდაჭერა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ჯგუფების წარმომადგენელთათვის ტრენინგების ორგანიზებას, მაგ. - მცირე ბიზნესში, რესურსული ცენტრების შექმნას. დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერას - მცირე მეწარმეობაში ჩართვას. ამ ჯგუფებში უნდა მოხდეს პროფესიული ორიენტაციის გამოყენება და ყველა კონკრეტულ პიროვნებას ხელი უნდა შეეწყოს შესაბამისი განათლების მიღებაში.

7. საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და ხარჯების მიზნობრიობის თვალთახედვით საჭიროებათა კვლევა და შედეგების მონიტორინგი

ჩატარებული გამოკითხვები, როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში, საექსპერტო წრეებში, ასევე თვითმმართველობის სტრუქტურებში კარნახობს ხარჯების მიზნობრიობის საკითხისადმი მეტი ყურადღების აუცილებლობას. ახალი საბიუჯეტო პროგრამების დახვეწის საუკეთესო საშუალებაა ბენეფიციარებისთვის მოტანილი სარგებლის ანალიზი და შედეგების განზოგადება.

8. სტატისტიკის სისტემისა და გენდერულად დანაწილებული მონაცემთა ბაზის შექმნა

სასურველია, ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით შეიქმნას მონაცემთა ბაზა, სადაც მოძიებული იქნება ინფორმაცია მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის, უმუშევართა კვალიფიკაციის, განათლებისა და სხვა ინფორმაციის საჭიროებების შესახებ.

სადღეისოდ, არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო სექტორში, სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ ერთეულებში დასაქმებულთა შესახებ. კერძოდ, თანამდებობებზე რა კვალიფიკაციით და რა ანაზღაურებით არიან დაკავებული ქალები და მამაკაცები, რათა გამოვლინდეს, რამდენად თანასწორია ქალისა და კაცის დასაქმება და ანაზღაურება სახელმწიფო სექტორში.

9. სოციალური ინფრასტრუქტურის, კერძოდ, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების სერვისის დახვეწისთვის ახალი შესაძლებლობების მოძიება და სექტორთშორისი თანამშრომლობის გაზრდა

კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური ინფრასტრუქტურის კავშირს ქალთა გენდერული საჭიროებების უზრუნველყოფის საკითხებთან ნაკლები ყურადღება ექცევა, მაშინ, როცა სახელმწიფოს მიერ მიღებული გენდერული თანასწორობის კანონის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ვალდებულება: „სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკის შემუშავება ადგილობრივ დონეზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები; აღმზრდელების გადამზადების პროგრამაში გენდერული თანასწორობის საკითხების შეტანა; სკოლამდელი აღზრდის სტანდარტების (საგანმანათლებლო ასპექტი, კვება და სხვ.) დახვეწა“, რაც დღის წესრიგში აყენებს არა მარტო ამ სოციალური სერვისის ყველასთვის

ნატა იმედაიშვილი, რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი, აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

საბჭოს არსებობა ბევრ რამეს ცვლის ჩვენს სინამდვილეში. ჩემი შეფასებით, პირველ რიგში, იცვლება ადამიანების განწყობა გენდერთან მიმართებაში. ჩვენ უკვე არ გვიწევს არავისთვის ზედმეტი ახსნა-განმარტება, რომ გენდერი არ არის ვიღაცის კაპრიზი, ეს ჩვენს ინტერესებში უნდა შედიოდეს. დიდი ხანია ჩვენმა საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ ევროპასთან მიახლოება, ევროპულ ოჯახში გაწევრიანება ნიშნავს ჩვენგან იმ სიახლეების აღიარებას, რომლებიც უკვე მიღებულია დემოკრატიულ ქვეყნებში. დემოკრატიული ღირებულებების ათვისება მოითხოვს, რომ ჩვენი ხელისუფლებისათვის გენდერული თემა იყოს პრიორიტეტული. გენდერული საბჭო თავისი მუშაობის პრინციპებით ამ ყველაფერს აერთიანებს. მისი წევრები მათთვის საინტერესოს პოულობენ და საერთო ძალისხმევით მუშაობენ ამ ფასეულობების დასამკვიდრებლად.

ბათუმის თვითმმართველობის 2014 წლის ბიუჯეტის ანალიზი

დასკვნები და რეკომენდაციები

ხელმისაწვდომობას, არამედ მის შემდგომ განვითარებას და ახალი რესურსების მოძიებას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი საქმიანობა მომავალში უნდა წარმართოს სულისკვეთებით, რომ არც ერთი სკოლამდელი ასაკის ბავშვი არ დარჩეს ბაღის გარეშე.

10. განათლება: ადგილობრივ ბიუჯეტში სასკოლო განათლების სისტემის ხელშეწყობის ღონისძიებების ინტეგრირება

საბიუჯეტო ნაწილში აუცილებელია გავითვალისწინოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მხარდაჭერა, თუნდაც მიზერული თანხებით. ეს საკითხი არ უნდა იყოს ამოვარდნილი ადგილობრივი პოლიტიკიდან და პრაქტიკიდან. განსაკუთრებით - ზრუნვა სკოლიდან განთესილი მოსწავლეების სოციალიზაციის კუთხით. განთესვის მიზეზების, სოციალური პირობების შესწავლისა და მათი მინიმუმ სკოლაში დაბრუნებისათვის ყოფითი მიზეზების აღმოფხვრის პარალელურად. ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს ღონისძიებები სკოლებში სოციალურად საშიში დაავადებების პრევენციის, ინფორმირების, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის მიმართულებით.

11. იძულებით გადაადგილებული პირების, მათ შორის ახალგაზრდების საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამების აუცილებლობა

საჭიროა დამკვიდრდეს აზრი, რომ იგპ-თა გამოუყენებელი სოციალური კაპიტალი აკლდება არა მარტო იგპ თემს, არამედ მთელ საზოგადოებას და, პირველ რიგში, ადგილობრივ სამოქალაქო ინტეგრაციას. ამიტომ იგპ თემის გაძლიერების, მათი სოციალური ადაპტაციის პროცესი ადგილობრივი თვითმმართველობის ფოკუსში უნდა აღმოჩნდეს, რისთვისაც საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირი იგპ-თა ორგანიზებულ ჯგუფებთან და დევნილთა სტრუქტურებთან, ამ სოციალური კატეგორიის მიმართ ადგილობრივი ზრუნვის პოლიტიკის განხორციელება მათი ხელშეწყობის პროგრამების გატარების თვალსაზრისით. იგპ პირთა ადაპტაცია და მათი სოციალური უზრუნველყოფა უნდა გახდეს ხელისუფლების და საზოგადოების ყოველდღიური ზრუნვის საგანი.

12. ადგილობრივ პოლიტიკაში ნაციონალური უმცირესობების მიმართ ზრუნვის, „მეგობრობის სახლის“ მუშაობის ეფექტურობის გაძლიერება

კვლევების თანახმად, ნაციონალური უმცირესობების სოციალური ჯგუფის პირველი რიგის საჭიროება დასაქმებაა, რასაც ხშირად ხელს უშლის ენობრივი ბარიერი. ადგილობრივი ინტეგრაციისა და დასაქმების ხელშესაწყობად დღის წესრიგში დგას ქართული ენის შემსწავლელი კურსების, სპეციალური საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდაჭერის საკითხი. ამ ჯგუფის ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი ამ საზოგადოების თანაბარუფლებიანი წევრები არიან.

13. შშმ პირების სოციალური დაცვისა და მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის მეტი რესურსის გამონახვა

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში არსებობს რიგი პროგრამები შშმ პირებისათვის, შესაძლებელია მეტი ადგილობრივი რესურსის გამოძებნა მათი მხარდაჭერისთვის. საჭიროა შეიქმნას სპეციალური ბაზა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის, რაც მათი პიროვნული და პროფესიული რეალიზაციის შესაძლებლობებს გაზრდის.

14. მოხუცთა შინმოვლის პროგრამის კრიტერიუმების დახვეწა და პროგრამის მონიტორინგის სისტემის დანერგვა

აღნიშნული კატეგორია არის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ადგილობრივ სოციალურ ჯგუფებს შორის. პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, გერონტოლოგიის, როგორც ხანდაზმულთა შესახებ მეცნიერების, გამოყენების საკითხი. საქმიანობის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ხანდაზმულთა მოვლისთვის ოჯახის წევრების ფულადი კომპენსაცია.

15. ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ ინფორმირებულობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა. ადგილობრივი ბიუჯეტის, როგორც თანაბარი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დანერგვა

ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ხშირად მოქალაქეთა ჯგუფები არ ფლობენ ინფორმაციას ადგილობრივი პროექტებისა და პროგრამების შესახებ. მიუხედავად თვითმმართველობის ცალკეული მცდელობისა, საჯარო გახადონ საბიუჯეტო პროგრამების მომზადების და განხილვის პროცესი, სამოქა-

ლაქო სექტორი, რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, ნაკლებ დაინტერესებას იჩენს ამ პროცესში მონაწილეობისადმი. ასევე საკმარისი არ არის ბიუჯეტის შესრულების სამოქალაქო მონიტორინგი და მისი კვალიფიციური და ექსპერტული შეფასება. ამ პროცესის უწყვეტობა და მასში ყველა სოციალური ფენის ჩართვა უდევს საფუძვლად რეალურ თვითმმართველობას, როგორც კოლექტიურ პასუხისმგებლობას ადგილობრივი რესურსების სამართლიან განაწილებაზე.

16. არსებული შრომითი რესურსების შესწავლა და ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ქალთა დასაქმებისა და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები

ქალაქის შრომის ბაზრის, შრომითი რესურსების კვალიფიციური შესწავლა უზრუნველყოფს კერძო სექტორის სწრაფ ზრდას და ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობის რეალიზაციას, რაც ბათუმის, როგორც საკურორტო ქალაქის, ეკონომიკურ პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის და, მის პარალელურად, შექმნის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ახალ შესაძლებლობებს.

17. ადგილობრივ ბიუჯეტში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ძალადობის პრევენციის ღონისძიებების ჩართვა

საქართველოს კანონმდებლობით დღემდე არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი ღონისძიებები ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების, მსხვერპლის დახმარების, ძალადობის პრევენციის მიმართულებით (ბოლო პერიოდში ოჯახში ძალადობის გამოვლინებებმა უკიდურესად საგანგაშო მასშტაბები შეიძინა. საუბარია ოჯახში ძალადობრივი კონფლიქტების შედეგად ქალთა გახშირებული მკვლელობებზე).

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის“ და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონებში შესული ცვლილებები ადგილობრივ ხელისუფლებას აღიარებს რეფერირების პროგრამების სუბიექტად და აკისრებს შესაბამის პასუხისმგებლობას, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას ავალდებულებს, აღნიშნული მიმართულებით მჭიდროდ ითანამშრომლოს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, საგანმანათლებლო სტრუქტურებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან. პირველ რიგში, საჭიროა პრობლემის მასშტაბების შესწავლა, რისკ ჯგუფების გამოვლენა, რათა მოხდეს საჭირო გათვლა, რა ფორმით, რა რესურსებით უნდა ჩაერთოს ადგილობრივი ხელისუფლება პრობლემის მოგვარებაში.

ნაზი ფუტკარაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვეული სპეციალისტი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

საკრებულოს წევრი ვიყავი, როცა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრობა შემომთავაზეს. მართალია, მეორე მოწვევის საკრებულოში არა ვარ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ისეთივე აქტიურობით ვიმუშაო, როგორც ადრე. საბჭოში დავრჩი, ეს ჩემი სურვილიც იყო. საშუალება მეძლევა, ახლოს ვიყო ხალხთან და გავიტანო ის საკითხები, რომლებიც მათთვის არის აქტუალური. მე აქ თავს კარგად ვგრძნობ, ამიტომაც ყველა სხვა საქმეს გადავდებ და საბჭოს სხდომაზე აუცილებლად მოვდივარ.

დასანანია, რომ პროექტი მთავრდება, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს. საბჭომ ბევრ კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი. რაც უფრო მეტად ვიქნებით შეკრულები, მით უკეთესი შედეგი გვექნება. ამიტომ არ მგონია, რომ პროექტის დასრულებით საბჭოს მისია იწურება. ის მასალები, რომლებიც საბჭოს გააჩნია კვლევებისა თუ ერთობლივი რეკომენდაციების სახით, კარგი ნედლეულია, რის საფუძველზეც მუშაობა უნდა გაგრძელდეს. თუ სწორად დავგეგმავთ, ყველაფრის გაკეთება შეიძლება.

პროექტის მთავარი შედეგი

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო თვითმმართველობასთან თანამშრომლობით პროექტების თანადაფინანსება, რომელშიც საბჭოს წევრები, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან პარტნიორობით, აქტიურად მიიღებდნენ მონაწილეობას.

საპროექტო პერიოდის განმავლობაში უკვე 4 ასეთი პროექტი დაფინანსდა. თუმცა საბჭოს ეგიდით თვითმმართველობისთვის წარდგენილი პროექტების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო.

„ბათუმის ახალგაზრდები - არაძალადობრივი კულტურისთვის“

ეს პირველი პროექტი იყო, რომელიც ფონდი „სოხუმისა“ და ბათუმის მერიის თანადაფინანსებით დაიწყო. საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ ამ პროექტით მათ ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის მიცემული პირობა შეასრულეს: ორიოდე წლის წინ ბათუმში ფონდი „სოხუმის“ პროექტი განხორციელდა და ფორუმ-თეატრი ჩამოყალიბდა. მისი დასრულების შემდეგ პროექტის მონაწილე ახალგაზრდები ითხოვდნენ, მუშაობის გაგრძელების საშუალება მისცემოდათ.

მარიზა აბაშიძე პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. მისი ინფორმაციით:

- პროექტში ჩართულია 6 სკოლა. ყველა სკოლამ წარმოადგინა 5-5 მონაწილე. პროექტის თემატიკა აქტუალურია, ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხი კი - მაღალი. ვფიქრობ, ამ პროექტს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. აქტივობები ახალგაზრდებისთვის საინტერესო და შთამბეჭდავია. ოქტომბერში დაგეგმილია შემაჯამებელი ფორუმი, სადაც ყველა სკოლის ჯგუფი წარმოადგენს სიტუაციურ სკეტჩს სხვადასხვა თემაზე - ძალადობა, მავნე ჩვევები (დამოკიდებულებები), პიროვნებათშორისი კომუნიკაციები და სხვა. ახალგაზრდებმა შეარჩიეს თემები, რომლებიც სტკივათ, პრობლემად მიაჩნიათ. ისინი ხშირად გვანცვიფრებენ მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებებით, დაკვირვებებით, საღი მსჯელობით. თითქოს არ ვუჩივით აქტივობებს, მოსწავლეთა ჩართულობას, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით: მსგავსი ინიციატივები აუცილებელია ახალგაზრდებისთვის. ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი მხარდამჭერებს - ბათუმის მერიას და ფონდ „სოხუმს“. გავიმეორებ: მსგავსი ინიციატივების მხარდაჭერა უნდა გაფართოვდეს. ერთეული პროექტები საკმარისი არ არის. ახალგაზრდებს სჭირდებათ აზრთა გაცვლა, დისკუსიები, ღირებულებათა გაცნობიერებული არჩევანი. მათი სახით ღირსეული ცვლა მოდის. ჩვენგან მხოლოდ საჭირო გარემოს ხელშეწყობაა საჭირო...

ნათია კიკვაძე, პროექტის კოორდინატორი: - ბათუმში ფონდი „სოხუმის“ ფორუმ-თეატრის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს, შეხვედრებს და ფორუმს დიდი გამოხმაურება მოყვა ახალგაზრდების მხრიდან. პირველად როდესაც შევედით სკოლებში, ახალგაზრდებს გაცილებით სხვა წარმოდგენა ჰქონდათ ძალადობასთან დაკავშირებით. პირველივე შეხვედრების შემდეგ მათი დამოკიდებულება იცვლებოდა, ინტერესი უღვივდებოდათ, რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა დასწრებოდა ფორუმ-თეატრის დისკუსიებს. იმ დროისთვის 3 სკოლიდან იყვნენ მოსწავლეები შერჩეულნი, მაგრამ მონაწილეობის სურვილი უფრო მეტმა გამოთქვა. ძალიან გაუხარდათ, როდესაც ფონდი „სოხუმისა“ და ბათუმის მერიის მხრიდან ახალი პროექტის დაფინანსების შესახებ გაიგეს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში სასწავლო პროცესი დამთავრებული იყო, მუშაობა ინტენსიურად დაიწყეს. ფეისბუქ-გვერდი შექმნეს, მასტერ-კლასები და ტრენინგი ჩატარდა, სცენები აარჩიეს...

მედეა კოპალეიშვილი, კვლევითი ცენტრის მენეჯერი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

წლების წინ ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი ვიყავი. მერე, როცა კლუბის მუშაობა განახლდა და თან გენდერული საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა, საბჭოს წევრობა შემომთავაზეს. ასე რომ - პირველი დღეებიდან აქ ვარ. მე ვარ აჭარაში ერთ-ერთი კვლევითი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ჩვენი კომპანია საქართველოს მასშტაბით მუშაობს. ჩემი სამსახური სპეციფიკურია და ალბათ საბჭოსაც სჭირდება ჩემი გამოცდილება.

საბჭოს ყოველი სხდომა იმისთვის არის, რომ ადამიანებს დაეხმაროს. ჩვენ დავესწარით ტრენინგებს გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე. საინტერესო თემა იყო. ამ სფეროში უფრო გავერკვიეთ. ამ მიმართულებით რომ მოხდეს ბიუჯეტის დაგეგმარება, ქალაქსაც წაადგება და მოსახლეობასაც. მე მონაწილეობა მივიღე ბათუმის ბიუჯეტის განხილვაში, ერთ-ერთი სფერო გამოვიკვლიე ეკონომიკური განხრით.

მონაწილეობა მივიღე გენდერული საჭიროებების კვლევაში. თავიდან ფოკუსჯგუფი ჩავატარე დევნილ ქალბატონებთან. სიღრმისეულად რომ გავეცანი მათ პრობლემებსა და საჭიროებებს, ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მივიღე. შემდეგ შევხვდი ქალბატონების შერეულ ჯგუფს - მრავალშვილიანები, მარტოხელები და სოციალურად დაუცველები.

სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებით მე განსხვავებული აზრი მაქვს - ჩვენ ადამიანებს ვუბიძგებთ გაზარმაცებისკენ. ვფიქრობ, უნდა შევიმუშაოთ პროექტები და მათ შევთავაზოთ სამუშაო, შემდეგ კი სოციალური დახმარება მოვუხსნათ.

ჩვენი შეხვედრებით ბევრ ადამიანს მივეცით მიმართულება.

ჩემი აზრით, ორი წლის მანძილზე საბჭომ კეთილი გავლენა მოახდინა მის წევრებზეც და იმათზეც, ვისთანაც მუშაობს.

მისასალმებელია, რომ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ამყარებენ მეგობრობას, ერთად მუშაობენ სცენარებზე და ეძებენ გამოსავალს, თუ რამ შეიძლება შეამციროს ძალადობა... საჭირო და დროულია სკოლებში მსგავსი პროექტების განხორციელება, რათა სკოლის ასაკიდანვე მოხდეს მათი ინფორმირება. ახალგაზრდები სხვა კუთხით ხედავენ საკუთარ თავსაც, მეტ ინტერესს, სოლიდარობას იჩენენ ძალადობის მსხვერპლის მიმართ. გარდა ამისა, ახალგაზრდები ჩაატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს სკოლებში, ასევე საკრებულოს და მერიის წარმომადგენლებთან. გადაიღებენ სოციალურ რგოლებს. ახალი პროექტების დაწერის და განხორციელების სურვილიც უჩნდებათ.

სერგი მახარაძე, პროექტის მონაწილე:
- „ფორუმ-თეატრი“ ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია იმ პროექტთაგან, რომლის მონაწილეც ვყოფილვარ, რადგან არა მარტო თეორიულად ვმსჯელობთ პრობლემაზე, არამედ ვცდილობთ, მოძალადის (რათა მივხვდეთ რაოდენ ცუდია), მსხვერპლის (წინააღმდეგობის გაწევის უნარის დასაფასებლად) და ზოგჯერ თვითმხილველის (სიტუაციის რეალურთან უფრო მისაახლოებლად) ტყავში შეძვრომასაც. ამ ყველაფერს ვუჩვენებთ საზოგადოებას და ვცდილობთ მის გამოფხიზლებას. მოხარული ვარ, რომ ამის შესაძლებლობა მომეცა.

„საზაფხულო სკოლა ახალგაზრდებისათვის - ბორჯომი 2015“

„ახალგაზრდების სამოქალაქო განათლება გენდერული კომპონენტების გათვალისწინებით“ - პროექტის ავტორების იდეა საბჭოსთვის მიმზიდველი აღმოჩნდა და ახალგაზრდულ ორგანიზაცია „ა(ა)იპ აჭარის დებატების კლუბთან“ თანამშრომლობაც დაიწყო.

მოკლედ ორგანიზაციის შესახებ: „დებატ-კლუბი“ ჩამოყალიბდა 2014 წლის ნოემბერში და ინტენსიურად შეუდგა პროექტების განხორციელებას. ორგანიზაციის აქტიური და მუდმივი პარტნიორია აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი. პირველი პროექტი, რომელიც კლუბმა განახორციელა, იყო ერთკვირიანი „ზამთრის სკოლა - ქობულეთი 2014“ თემაზე „საქართველო და ევროკავშირი“, სადაც ჩატარდა ტრენინგები დებატებში, ეფექტურ პრეზენტაცია-კომუნიკაციაში, ასევე ლექციები ევროკავშირზე და საქართველოს ევროინტეგრაციულ პერსპექტივებზე. პროექტში ჩართული იყო 30 მოსწავლე აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან.

2015 წელს კლუბმა განახორციელა პროექტი: „დებატების ტრენინგები აჭარის მუნიციპალიტეტების სკოლების მოსწავლეებისათვის“. ჩატარდა საპარლამენტო სტილის

პროექტის მთავარი შედეგი

დებატების ტრენინგები ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. სულ 250 ახალგაზრდამ გაიარა ტრენინგები. ორგანიზაციას დაგეგმლი აქვს მასშტაბური დებატების ჩემპიონატი და დებატების ლიგა.

„აჭარის დებატების კლუბმა“ მერიის „თავისუფალი ინიციატივების კონკურსში“ გაიმარჯვა და ფონდი „სოხუმისგან“ და აჭარის ახალგაზრდული დეპარტამენტისგან დაფინანსებაც მოიპოვა. მათი საპროექტო იდეა იყო ბორჯომში ათდღიანი ახალგაზრდული საზაფხულო სკოლა, რომელიც არაფორმალური განათლების, მათ შორის გენდერული განათლების საკითხებს ეძღვნებოდა. პროექტი „ბორჯომი 2015“ წარმატებით დასრულდა.

ახალგაზრდებმა იმუშავეს საინტერესო თემებზე: გენდერი, ეფექტური კომუნიკაცია, ტოლერანტობა. მათთვის მნიშვნელოვანი იყო გენდერული საკითხები - გენდერული

განათლების საჭიროება, გენდერი და თაობები, გენდერი და ძალადობა...

პროექტის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, აკაკი გვიანიძე მოგვითხრობს:

- პროექტში ახალგაზრდების შერჩევის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე იყო, ხოლო ღონისძიების შესახებ ინფორმაცია ნებისმიერი მსურველისათვის ხელმისაწვდომი. შევქმენით ინტერნეტ-აპლიკაცია, რომელიც უნდა შეევსო ბანაკში მოხვედრის მსურველს, აპლიკაციების მიღების შემდგომ მოხდა მონაწილეების შერჩევა გამოცდილებისა და მოტივაციის მიხედვით. მთავარი კრიტერიუმი იყო სამოტივაციო წერილები.

პროექტის ორგანიზატორებს შორის არ ყოფილა გუნდურობისა და კომუნიკაციის პრობლემა. გუნდმა იმუშავა მაქსიმალურად შეხმატკბილებულად და კოორდინირებულად. ეს განაპირობა იმანაც, რომ შერჩეული ტრენერები იყვნენ თავიანთი საქმის პროფესიონალები.

ახალგაზრდებმა მიიღეს მათთვის საჭირო გამოცდილება. ეფექტური კომუნიკაციის, პრეზენტაციის, ტოლერანტობის უნარები მათ აუცილებლად გამოადგებათ ცხოვრებაში, კარიერაში, საქმიან თუ არაფორმალურ ურთიერთობებში. შედეგის მიღწევას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მონაწილეები ერთი კვირის განმავლობაში ერთად იყვნენ ქალაქგარეთ.

პროექტის განმავლობაში გაჩნდა უამრავი ინიციატივა, მათ შორის ის, რომ თითოეული მათგანი საკუთარ სკოლაში მოაწყობს შეხვედრებს და გაუზიარებს თანატოლებს ბანაკში შეძენილ უნარ-ჩვევებს.

პროექტის მხარდამჭერებს (ფონდ “სოხუმს“, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, ქალაქ ბათუმის მერიას) ვეტყოდი: მოხარული ვართ, რომ ნდობა გამოგვიცხადეს და მივიჩნევთ, რომ ასეთი ტიპის პროექტების მხარდაჭერა აუცილებელია, რადგან იგი საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, შეიძინონ მათთვის აუცილებელი უნარები, გაიცნონ ერთმანეთი, შეიძინონ მეგობრები და თანამოაზრეები და, რაც ყველაზე მთავარია, სახელმწიფოს აძლევს აქტიურ მოქალაქეს, რომელიც ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა.

პროექტი - „სკოლამდელი განათლების სერვისის ხელშეწყობა“

ფონდი „სოხუმისა“ და ბათუმის მერიის თანადაფინანსება გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ ინიცირებულმა მესამე პრო-

ექტმაც მოიპოვა. საბჭომ პარტნიორად აქაც ახალგაზრდული ორგანიზაცია აირჩია. „საზოგადოებრივი განვითარების აკადემიაც“ ახალბედა ორგანიზაციაა, თუმცა მისი წევრები საკუთარ სფეროში შემდგარი ახალგაზრდები არიან.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, შორენა დოლაბერიძე გვიამბობს, რატომ გადაწყვიტეს ამ პროექტის წარმოდგენა და გენდერულ საბჭოსთან თანამშრომლობა:

- ბევრ მიზეზთაგან გამოვყოფდი ორ ძირითადს. პირველი, ეს არის რეპუტაცია. ფონდ „სოხუმს“, რომელთანაც საბჭომ რეკომენდაცია გაგვიწია, არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული საქართველოს მაშტაბით და პროფესიონალიზმის და გამოცდილების გარდა, საზოგადოებაში, სხვადასხვა სტრუქტურაში დიდი ნდობით სარგებლობს.

მეორე მიზეზი არის ფონდი „სოხუმის“ მხრიდან გამოხატული მხარდაჭერა და ურთიერთთანამშრომლობის სურვილი. მთელი ამ დროის განმავლობაში, ყოველ კითხვაზე ვღებულობდით ამომწურავ პასუხს, დროულად იყო მოწოდებული საჭირო დოკუმენტები. ჩვენი ორგანიზაცია თავის პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯს მასთან პარტნიორობით განახორციელებს.

შემდეგ იყო ის, რომ ჩვენს მიერ წარდგენილმა პროექტმა გაიმარჯვა „თავისუფალი ინიციატივების კონკურსში“ და ნდობა მერიამაც გამოგვიცხადა. პროექტი უკვე დაიწყო და მალე აქტიურ ფაზაში შევა.

სკოლამდელი განათლების სერვისის ჩვენს მიერ არჩეული შტრიხები საკმაოდ ინოვაციურია საქართველოში, ახალია და განვითარების ადრეულ პერიოდებს გადის. პროექტის იდეა წარმოიშვა ჩატარებული კვლევებისა და პირადი დაკვირვებების საფუძველზე, რადგან თვალშისაცემია შემეცნებით და აღმზრდელობით პროცესში პედაგოგებისა და მშობლების თანამშრომლობის დეფიციტი, აღზრდის პროცესისგან ოჯახის მამაკაცების გაუცხოება.

ბაღის პერსონალისა და მშობლებისთვის ჩატარებული ტრენინგებით პროექტი მნიშ-

თეა ჯანჯღავა, ბათუმის საკრებულოს სამდივნოს უფროსი, მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

გენდერი არ იყო ჩემთვის ახალი და უცხო თემა, მაგრამ საბჭოს წევრობამ მომცა მნიშვნელოვანი გამოცდილება. ფაქტობრივად, ჩვენ ორი მიმართულებით გვიწევს მუშაობა: ვიმუშაოთ არა მხოლოდ საზოგადოების დამოკიდებულების შესაცვლელად, პარალელურად ვაკეთოთ კონკრეტული საქმეები ამ ცვლილებების მისაღებად ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

ორი წელი არ არის ძალიან დიდი დრო იმისათვის, რომ მოხვიდე, დაიმკვიდრო საკუთარი ადგილი და მთლიანად შეცვალო გენდერული პოლიტიკა ქალაქში. რა თქმა უნდა, ეს ასე მარტივი არ არის, თუმცა საბჭომ ამ მოკლე დროში მოახერხა საკუთარი იმიჯის შექმნა. ის, რომ სხდომები ტარდება იმ დარბაზში, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება იკრიბება და ხალხის პრობლემებზე მსჯელობს, ის, რომ საბჭო ანგარიშგასაწევი ძალაა, სერიოზულ მიღწევად მიმაჩნია. ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე ეს ყველაფერი შეუძლებელია, ამ მხარდაჭერის მოპოვება კი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ყოველდღიური მუშაობა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც საბჭოს შემადგენლობაში არიან და ყოველგვარი ფინანსური დაინტერესების გარეშე იღვწიან საერთო მიზნის მისაღწევად.

ამ ორი წლის განმავლობაში შეიქმნა სერიოზული საინფორმაციო ბაზა გენდერული მიმართულებით. საბჭოს მიერ გენდერულ საჭიროებებზე ჩატარებულმა კვლევებმა გამოკვეთა ქალაქში არსებული საჭიროებები. ეს ხელს შეუწყობს ხელისუფლებას, რომ განსაზღვროს პრიორიტეტები და ეს ყველაფერი ბიუჯეტში აისახოს.

პროექტის მთავარი შედეგი

ვნელოვან წვლილს შეიტანს სკოლამდელი განათლების სერვისების განვითარებაში. გარდა ამისა, მოხდება ორივე მშობლისა და ბებია-ბაბუების ჩართვა სააღმზრდელო პროცესში. და ბოლოს, აღსაზრდელებს განუვითარდებათ საჭირო უნარ-ჩვევები, მაგალითად, ბუნების დაცვა და სხვა მრავალი.

პროექტში ჩაერთვებიან ადგილობრივი კვალიფიციური კადრები. ყოველ მათგანს აქვს შესაბამისი განათლება და სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ამ მხრივაც პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს ადგილობრივი კადრების დასაქმებას და პროფესიონალთა სამუშაო გუნდის შექმნას.

მედეა მიქელაძე, „მეგობრობის სახლის“ მენეჯერი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

ფილოლოგი ვარ. ვმუშაობდი სკოლაში, საბავშვო ბაღში. ამჟამად ვმუშაობ „მეგობრობის სახლში“. როცა საბჭოს შესახებ გავიგე, შეკითხვები გამიჩნდა: ხომ არ იქნება ეს საბჭო - საბჭოსთვის, შეხვედრა - შეხვედრისთვის. შეხვედრების შემდეგ რაიმე თუ დარჩება?

ერთი წელია, თავად გავხდი საბჭოს წევრი. მას შემდეგ ვაკვირდები და ვხედავ - აქტიურად მუშაობს, ტარდება საქმიანი, შედეგიანი, საქმეზე მორგებული შეხვედრები. საინტერესო სახეებს ვხვდები, თავდაჯერებული გავხდი. ბევრი რამ შეიცვალა ჩემში. პირველ სხდომებს როცა ვესწრებოდი, იყო აზრი - სტუდენტს რაში ჭირდება გენდერული საკითხების ცოდნა. ახლა ვფიქრობ, არა თუ სტუდენტს, საბავშვო ბაღის ასაკიდან უნდა დაიწყოს გენდერული აღზრდა. საბავშვო ბაღის ბიუჯეტი როცა დგება, გენდერული მიდგომა, გენდერული საჭიროებანი გათვლილი უნდა იყოს.

საბჭომ რომ კვლევები ჩაატარა, რა თქმა უნდა, მეც ვმონაწილეობდი. გამოჩნდა, რომ საზოგადოების დაკვეთა არის მთავრობის მხრიდან ინფორმაციის დროული, საჭირო დოზით მიწოდება.

კვლევების შედეგებმა კარგად აჩვენა, რომ ინფორმაცია მარჩენალდაკარგულებზე იშვიათია. ის, სოციალური დახმარების კუთხით, მარტოხელა დედას ვერაფრით ვერ გაუთანაბრდა. ჩემთვის ეს ძალიან მტკივნეულია, რადგან 26 წლისა დავქვრივდი, 2 შვილი გავზარდე და ყოველთვის ვგრძნობდი ამ ვაკუუმს.

ასევე გამოიკვეთა საზოგადოების მოთხოვნა სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით: არავის უნდა, უმუშევარი იყოს და ხელგაწვდილი დადიოდეს. ქობულეთისა და ბათუმის მაგალითზე ვამბობ, თავმოყვარეობა გენში აქვთ და შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, როცა გამოუვალი სიტუაციაა, როცა ეს შვილს, ავადმყოფობას ეხება და დახმარებას ითხოვენ.

კვლევების დროს დაფიქსირდა, რომ უნდა წახალისდეს არაანაზღაურებადი სამუშაო - ავადმყოფის, მოხუცის მოვლა; სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ახალგაზრდა დედებზე, რომლებიც იძულებით ოჯახის სარჩენად საზღვარგარეთ წავიდნენ.

საბჭოში ჩემი ყოფნა შედეგიანია. თუ საბჭოში არ ვიქნებოდი, ამ საჭიროებებს ვერ გამოვიკვლევდი. ყველა სამსახური არ წვდება ასეთ საკითხებს. ეს ყველაფერი ჩემთვის დამატებითი შრომაც არის და გამბედაობაც. მართალია, მე არ ხელმეწიფება მათი დახმარება, მაგრამ ვცდილობ, შუამავლის როლი შევასრულო - ინფორმაცია მივიტანო იმ კატეგორიამდე, ვისაც ეს ჭირდება.

ახლა თავს რამდენადმე აღმატებულ მოქალაქედ ვთვლი, რომელსაც შეუძლია მეტი სამოქალაქო აქტივობა. გული მწყდება, რომ სექტემბრის ბოლოს პროექტის ვადა იწურება...

პროექტზე მუშაობის პროცესში და, ზოგადად, საკრებულოს სხდომაზე განხილვამდე, შეხვედრები გაიმართა დარგის სპეციალისტებთან. მივიღეთ პროფესიული შეფასებები და აღინიშნა, რომ პროექტი აქტიური, მისაღები და მოსაწონია. პროექტის შედეგად, თვითმმართველობის მხარდაჭერითა და მის სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით - ქ. ბათუმის 10 საბავშვო ბაღში სანიტარული, ასაკობრივი ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის, გენდერული განათლების კუთხით ცოდნას აიმაღლებს 60 პერსონალი და 90 მშობელი. კვალიფიკაციის მიღების საშუალება ექნებათ ამ სფეროში სამსახურის მაძიებელთ (ვიცით, რომ ქალაქში ინტენსიურად მიდის სამზადისი ახალი ბაღების გამართვისათვის).

ეკოლოგიური განათლების, ეკოლოგიური კულტურის უზრუნველსაყოფად სპეციალური გაკვეთილებით, 1 თვის განმავლობაში 10 საბავშვო ბაღში 200 აღსაზრდელი შეისწავლის მცენარეთა მოვლას, ჩამოუყალიბდებათ ეკოლოგიური კულტურა (კონკურსი „ჩვენი ეკოკუთხე“ გამოავლენს საუკეთესო ეკოლოგიური განათლების მქონე ჯგუფს).

საზოგადოება ფართოდ იქნება ინფორმირებული განხორციელებულ ღონისძიებებზე. მიგვაჩნია, რომ პროექტი სკოლამდელი განათლების სერვისში იქ მომუშავე პესონალის გარდა აღსაზრდელების მშობლებსაც აქტიურად ჩართავს და შემეცნებითი და აღმზრდელობითი პროცესის გამთლიანებას, მშობლებისა და პედაგოგების თანამშრომლობას, აღზრდაში გენდერული კომპონენტების შეტანას შეუწყობს ხელს. პროექტში არის ინოვაციური ელემენტი „მამებისა და ბაბუების კლუბი“. ამ ტიპის კლუბი ქუთაისში არსებობს და მისი გამოცდილება ძალიან ღირებულია. ეს მომავალში ჰარმონიული პიროვნებების ჩამოყალიბების საწინდარია.

მოზარდთა სქესობრივ-ასაკობრივი და გენდერული აღზრდის საკითხები (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისა და მშობლებისთვის)

ამ ეტაპზე, მიუხედავად პროექტის მიმართ ინტერესისა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მისი ფინანსური მხარდაჭერა ვერ მოახერხა, თუმცა ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები უნივერსიტეტთან და სხვა შესაძლებლობების გამონახვა პროექტის მხარდაჭერისათვის.

პროექტს აკადემიური წრეების წარმომადგენელთა პარალელურად რეკომენდაცია გაუწია გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ: „პროექტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტად მიგვაჩნია სამეცნიერო-პოპულარული მეთოდური სახელმძღვანელო, რომელზედაც იმუშავებენ დარგის გამოცდილი სპეციალისტები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. სახელმძღვანელო თავს მოუყრის მოზარდთა ასაკობრივი ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის, სანიტარულ-ჰიგიენური და გენდერული განათლების კუთხით არსებულ აკადემიურ ინფორმაციას, რაც შეავსებს იმ დეფიციტს, რომელიც არის საგანმანათლებლო დაწესებულებებში მსგავსი ტიპის გამოცემების კუთხით, სასარგებლო იქნება მშობლებისთვის, პედაგოგებისათვის, საკითხით დაინტერესებული პირებისთვის“. პროექტის მეორე კომპონენტია საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები.

მეთოდური სახელმძღვანელოს კონცეფცია პროფესორმა რამაზ სურმანიძემ გაგვაცნო: „რამდენიმე წლის წინ მასმედიაში ახსენეს მოსწავლეთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდა. ავტორს ისეთი ქოქოლა დააყარეს, ალბათ ახლაც ნანობს, „რამ მათქმევინაო“. არადა, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან პედაგოგიურ ან სამედიცინო დახმარების პროგრამებში შეტანილია ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდა.

ზოგი ამ თემას პრიმიტიულად განიხილავს და ფიქრობს, რომ ეს პროგრამები გულისხმობს სექსუალური ურთიერთობების სწავლებას. ეს არ არის სწორი. სქესობრივი აღზრდა ბაღის ასაკიდან იწყება, როცა, მაგალითად, ბავშვს ვუხსნით ყვავილის დამტვერვა-გამრავლებას, შემდეგ - ბუნების, ზოოლოგიის, ანატომიის სწავლებისას ასაკობრივად შესაბამის საკითხებს. ასე რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მოზარდი მზადაა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, თანაც მან ძალიან კარგად იცის (ყველა შემთხვევაში, უნდა იცოდეს), რა შეიძლება მოყვეს შემთხვევით სქესობრივ კავშირს (ვენერიული დაავადებები, შიდსი და სხვ.). იცის აგრეთვე, რა პასუხისმგებლობა ეკისრება შეუღლების შემდეგ (ბავშვის გაჩენა, მასზე ზრუნვა, ოჯახის რჩენა და ა. შ.).

თუ ეს სისტემა გამართულად იმუშავებს, მშობელს ერთი დიდი საფიქრალი მოაკლდება - მისი შვილი სკოლაში მიიღებს არა მარტო აკადემიურ განათლებას, არამედ იგი მოწესრიგებულ, კულტურულ და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანად გაიზრდება.

მშობლების, განსაკუთრებით დედის ერთ-ერთი დიდი საზრუნავია მოზარდისთვის მავნე ჩვევების თავიდან აცილება: მოწევა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია. ამ ჩვევების მავნებლობაზე აქ საუბარი ზედმეტად მიმაჩნია, მე მხოლოდ მათ მიმართ პრევენციულ ზომებზე ვისაუბრებ. ერთადერთი გამოსავალია მავნე ჩვევებზე ბავშვის ყურადღების გამახვილება

პროექტის მთავარი შედეგი

უმცროსი ასაკიდანვე. შესაძლებელია, საკითხი ჩავრთოთ ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის პროგრამებში. რაც უფრო კარგად, შთამაგონებლად და დამაჯერებლად ჩავატარებთ ამ მუშაობას, იგი მეტ ეფექტს მოგვცემს.

კარგად ორგანიზებული ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის პირობებში მოზარდი აღარც გაიხედავს სიგარეტისა და ნარკოტიკებისკენ, ფიქრადაც არ მოუვა მათი გამოყენება.

სკოლაში მავნე ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლის და სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ გაშლა აღარ ხერხდება იმის გამოც, რომ სკოლებს აღარ ჰყავს სამედიცინო პერსონალი. როცა ჰყავდათ, მაშინაც არ იყო სრულყოფილი, ამიტომ ამ საქმეს კისრულობდა სანიტარული განათლების სახლი, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა სკოლებში (და სხვა ორგანიზებულ კოლექტივებში) ლექციების, საუბრების ჩატარება, თვალსაჩინოების გამოფენა, კინოფილმების ჩვენება, ტელელექციების გამართვა, დისკების დარიგება...

ხომ არ დადგა დრო, ხელისუფლებამ იზრუნოს სანიტარული განათლების სახლის შექმნაზე, თავის თავზე აიღოს მისი შენახვა და უზრუნველყოს მოსახლეობაში პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესების, საშიში დაავადებების თავიდან აცილების, მავნე ჩვევებთან ბრძოლის წესების პოპულარიზაცია?

ვფიქრობ, ეს მომავალი განსჯის საგანი უნდა გახდეს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სადღეისოდ არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს და რომლის სწორი მიწოდება უმნიშვნელოვანესია მოზარდებისა და მათ აღზრდაში მონაწილე

მხარეებისათვის: ეს არის გენდერული განათლების საკითხები, გოგონებისა და ვაჟების ურთიერთდამოკიდებულებები, სტერეოტიპები, საზოგადოების მოლოდინები და დამკვიდრებული კლიშეები, რასაც გენდერულ როლებს ვეძახით.

ზემოთქმულ ნაკლოვანებებს ერთგვარად შეამცირებს მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი და გენდერული აღზრდის საკითხების დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც გამოადგებათ, როგორც მშობლებს, ისე პედაგოგებს და სკოლის ექიმებს“.

„თვითმმართველობის გენდერული განათლება“

ეს შედარებით პატარა პროექტიც გენდერული საბჭოს ეგიდით ხორციელდება. ის ინიცირებული იყო საკრებულოსა და მერიის გენდერული და შშმ საკითხთა მრჩევლების მიერ და ფონდი „სოხუმისა“ და თვითმმართველობის პარტნიორობით იქნა მხარდაჭერილი.

პროექტის ამოსავალი იყო საჭიროება გენდერული განათლების, გენდერული საკანონმდებლო ბაზის, მათი აღსრულების მექანიზმების, თვითმმართველობის კომპეტენციის ირგვლივ ინფორმირების კუთხით. გარდა ამისა, ფონდ „სოხუმსა“ და საკრებულოს შორის გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს თვითმმართველობის პერსონალის გენდერული განათლების ხელშეწყობას, რისი პოლიტიკური ნებაც ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არსებობს.

ჩატარდება ტრენინგების 2 ციკლი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ხელისუფლების ორივე შტოს, როგორც აღმასრულებელს, ასევე საკანონმდებლოს, ტერიტორიული ერთეულების, ამხანაგობების წარმომადგენლებს, თემის აქტივისტებს.

პროექტში ჩართულნი არიან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ფილიალის წარმომადგენლები, რომლებთანაც გენდერულ საბჭოს დიდი ხნის პარტნიორობა აკავშირებს.

როგორც გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები აცხადებენ, აღნიშნული პროექტები თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველი და საბჭოს სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია.

ხათუნა გოგუა
ემა კამკია

იდეები მომავალი მუშაობისთვის

ყველა რესპონდენტთა სიტყვებიდან

„ჩვენი ბიუჯეტის სიმწირის მიუხედავად, უნდა მივაღწიოთ, რომ სახელმწიფომ აანაზღაუროს იმ ადამიანის (ქალი, კაცი) შრომა, ვინც ოჯახში უვლის მოხუცს და ავადმყოფს“.

„ძალადობის პირველივე ნიშნის გამოჩენისთანავე ქუჩის, სახლის, ამხანაგობის წარმომადგენლებმა განგაშის ზარი უნდა ჩამოჰკრან, რათა ძალადობამ უფრო რთული სახე არ მიიღოს“.

„გენდერული ჯგუფების, შშმ პირების, განსაკუთრებით ახალგაზრდების განათლების და ინტელექტუალური განვითარებისთვის ბიუჯეტი ითვალისწინებს საკმაო თანხებს. მთავარია დაწესდეს კონტროლი ამ თანხების მიზანშეწონილად ხარჯვაზე და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მათი კორექტირება (შემცირება, მომატება)“.

„არის უამრავი ფართი ქალაქში და ამ ტერიტორიებით არავინ ინტერესდება. ხომ შეიძლება მერიამ გადასცეს ეს ფართები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს? შეიძლება გაკეთდეს სოციალური საწარმოები, სადაც დასაქმდებიან სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები“.

„უპრიანი იქნებოდა, სამი ვიცე-მერიდან ერთ-ერთი ქალი ყოფილიყო. ამით მეტ მოტივაციას და სტიმულს მივცემდით ქალებს. პრობლემებს ქალი და კაცი სხვადასხვანაირად ხედავს და ეს განსაკუთრებით ჩანს ბიუჯეტის განაწილების დროს“.

„აუცილებელია ქალებზე გავრცელდეს ის შეღავათები, რომლებიც მისთვის აუცილებელია ორსულობის და ბავშვის ძუძუთი კვების დროს.

„რაც სქოლიოზის პროგრამაში თანხა დაიხარჯა, იმით ერთი საცხენოსნო სკოლა რომ შეექმნათ, რომელიც ძალიან კარგად უმკლავდება ამ დაავადებას, უფრო ეფექტური იქნებოდა. არსებული პროგრამები ერთჯერადია და მუდმივად მეორდება. ეს ჰგავს სიტუაციას, როცა ვირუსი გვაქვს და მკურნალობის გარეშე მხოლოდ ნიღაბს ვიკეთებთ გავრცელების თავიდან ასაცილებლად”.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უნდა აღვადგინოთ დედათა და ბავშვთა, აგრეთვე ქალთა ჰიგიენის ოთახები“.

„ბათუმში ხშირია ბრონქიალური დაავადებები. ამისთვის აუცილებელი არ არის დაავადებულის ბაკურიანში წაყვანა. ჩვენ გვაქვს ბეშუმი, გომარდული, რომლებიც არანაკლებ ეფექტურია. იქ უნდა მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ბათუმისა და შუახევის მუნიციპალიტეტებმა უნდა შექმნან ერთობლივი ბაზა. უნდა იყოს პროგრამები, რომლებიც შშმ პირებს ან ცერებრალური დამბლით დაავადებულებს მისცემს საშუალებას, გაიარონ სარეაბილიტაციო კურსები მთაში“.